05/12/2024

MES 2 24 0001565581

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი, 21.10.2024
სხდომის დაწყების დრო: 15:00 საათი
დასრულების დრო: 17:30 საათი
სხდომის თავმჯდომარე: კახა შენგელია
სხდომის მდივანი: დავით ლეშკაშელი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით 2024 წლის 21 ნოემბერს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია -** შპს ,,კავკასიის უნივერსიტეტის" პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დავით ლეშკაშელი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი;
3. **მამუკა ხუსკივაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პრფესორი;
4. **მიხეილ გურგენიძე** - შპს ბრიტანული სასწავლო უნივერსიტეტის საქართველოში ასისტენტ-პროფესორი;
5. **ლევან მიდოდაშვილი** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ხელმძღვანელი, პროფესორი;
6. **სერგო ჭელიძე** - შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტ სეუ-ს პროფესორი;
7. **ქრისტინა რზგოევა** - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;
8. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
9. **ივანე ჯაგოდნიშვილი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

10. **სალომე კუჭუხიძე** - შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანი;
11. **თამარი ოსელიანი** - შპს "ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, დამსაქმებელი;
12. **ნინო ჩინჩალაძე** - ა(ა)იპ - ფონდის საერთაშორისო განათლების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი;
13. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

1. ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
2. გვანცა ძიძიგური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
3. *ანი ბილანიშვილი* - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
4. *გიორგი ირემაშვილი* - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
5. *ანა ჯუღელი* - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
6. სოფიკო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
7. ქეთევან პავლიაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს თბილისის თავისუფალი აკადემია

1. სალომე პირველი - რექტორი;
2. მარინე (მაკა) კობალავა - დამფუძვნებელი, სენატის თავმჯდომარე;
3. ანჟელა აბულაძე - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
4. მურმან ციქუბაძე - ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. თეა თულაშვილი - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
6. მარიამ რაზმაძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი;
7. თინათინ ყოლბაია - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

1. მაკა იოსელიანი - რექტორი;
2. მედეა ახალკაცი_- გამგეობის წევრი;
3. თედო სანიკიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
4. ბაკურ კვაშილავა - სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი;

5. ნინო ივანიშვილი - ჟურნალისტიკისა და მედიამენეჯმენტის კავკასიური სკოლის დეკანი;
6. ირინე გორგილაძე - მმართველობის სკოლის დეკანი;
7. ნანა ქაშაკაშვილი - სოფლის განვითარების და პროფესიული სწავლების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
8. ჟანა ანთია - ტრენინგებისა და კონსულტაციების ცენტრის ხელმძღვანელი;
9. ნანა მაჭარაშვილი - კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
10. ელენე ბერიძე - ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
11. ანანო გორგოძე - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი;
12. ლიკა კაკაბაძე - საქმისწარმოების მენეჯერი;
13. დავით წასიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
14. ნიკა გიგაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი;
15. მარიამ კეკელიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
16. ანა ჩუთლაშვილი - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
17. სოფო სუხიაშვილი - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელი;
18. ირინე ბაქრაძე - სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი;
19. დავით დემეტრაშვილი - საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის ხელმძღვანელი;
20. თორნიკე შარაშენიძე - პროფესორი;
21. ვანო ცერცვაძე - პროფესორი;
22. მერაბ ანთაძე - ასისტენტ-პროფესორი;
23. თინათინ ნაჭყებია - ასისტენტ-პროფესორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

- ნორა სკაბურსკიენე /Nora Skaburskiene
- ეკატერინე ნაცვლიშვილი
- მარიამ ღამბაშიძე
- იამოსაშვილი
- ნინო ბოგვერაძე
- ნათია მაღალაშვილი
- მაურიციო ტირა (Maurizio Tira)
- გიგა ხოსიტაშვილი
- თამთა ცხოვრებაძე
- თინათინ დვალიშვილი
- შოთა ფოთოლაშვილი
- ლარისა პატარაია
- თათია უბერი

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 15:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1

ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წ ევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ

საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

საერთაშორისო ექსპერტი, ნორა სკაბურსკიენე/Nora Skaburskiene, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ ეს იყო დაწესებულების ხელახალი შეფასება, რომლის განმავლობაშიც შეფასდა უნივერსიტეტის პროგრესიც. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს აკადემიამ გაუზიარა თვითშეფასების ანგარში, დანართები და ყველა ის დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ ვიზიტის დროს იქნა გამოთხოვილი.

პირველ სტანდარტში მოცემული იყო მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, კერძოდ, კვლევასთან და მისიასთან დაკავშირებული საკითხები უნდა იყოს ინკორპორირებული დაწესებულების მისიაში. ასევე სტრატეგიული გეგმა უნდა იყოს მეტად კონცენტრირებული კვლევით პროდუქტიულობის ხარისხის გაზრდაზე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტში მოცემული იყო რამდენიმე რეკომენდაცია სტრუქტურასთან დაკავშირებით. მაგალითად, რეკომენდებული იყო სენატის ფუნქციებისა და მოვალეობების გადახედვა. ასევე დამფუძნებელთა კრების ფორმალური ინტეგრირება ინსტიტუციურ სტრუქტურაში, რაც ლოგიკური და გამჭვირვალე იქნებოდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო ხარისხის პოლიტიკაში აღწერილი მექანიზმების პრაქტიკაში განხორციელება. ექსპერტის თქმით, მნიშვნელოვანია აკადემიამ გაიაროს ყველა საფეხური „PDCA”-ი ციკლის დასახურად.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა ის ფაქტი, რომ აკადემიაში დიდი ყურადღება ექცევა ეთიკის საკითხებს, თუმცა საჭიროა ხელოვნური ინტელექტის მიმართ უფრო მეტი ყურადღების გამახვილება. ხელოვნური ინტელექტის გამოყენების წესი შესაბამის დოკუმენტში ღიად უნდა იყოს მოცემული.

მესამე სტანდარტში მოცემული იყო მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, კერძოდ, დაწესებულებამ უნდა გაზარდოს გარე დაინტერესებული მხარეების (კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების) ჩართულობა პროგრამების განვითარებაში. მეოთხე სტანდარტში მოცემულ ერთ-ერთ რეკომენდაციასთან დაკავშირებით საერთაშორისო ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ბევრი აფილირებული პროფესორია. გარდა ამისა, არიან ისეთი პროფესორებიც, რომლებიც იკავებენ როგორც აკადემიურ, ისე ადმინისტრაციულ პოზიციებს ამ და სხვა დაწესებულებებში. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ დაწესებულებამ მეტი ყურადღება მიაქციოს აკადემიურ პერსონალს საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობის მიზნით. ასევე სასურველია, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. რეკომენდებული იყო პერსონალის მხარდაჭერა საერთაშორისო კვლევებში თანამონაწილეობის შემთხვევებში. ექსპერტის თქმით, საჭიროა არსებობდეს ისეთი მექანიზმები, რომლის საშუალებითაც მოხდება უცხოეთში მიღებული გამოცდილებების გაზიარება.

მეხუთე სტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ყურადღება ძირითადად ფოკუსირებული იყო საერთაშორისო სტუდენტების მიღების საკითხებზე. მან აღნიშნა, რომ უნდა არსებობდეს მკაფიო წესი უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღებასთან დაკავშირებით, კერძოდ, როგორ ირიცხებიან ისინი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასევე გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სტუდენტების უნივერსიტეტებში არსებობა ითხოვს მხარდაჭერის მეტ სერვისს. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ უნივერსიტეტმა აღწეროს შესაბამის დოკუმენტში მსგავსი ტიპის სერვისები. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა იმ პერსონალისთვის ტრენინგებით უზრუნველყოფას, რომლებსაც პირდაპირი კავშირი ექნებოდათ დაწესებულებაში მიღებისას საერთაშორისო სტუდენტებთან.

საერთაშორისო ექსპერტის თქმით, რეკომენდაციების დიდი ნაწილი მოცემულია მეექვსე სტანდარტში, რომელიც კვლევაზეა ორიენტირებული. სტუდენტების კვლევაში ჩართვისთვის საჭიროა, რომ აკადემიამ მიაღწიოს კვლევითი აქტივობის უფრო მაღალ დონეს, ვიდრე ახლა არის. ასევე აკადემიამ უკეთესად უნდა განმარტოს კვლევითი აქტივობის მნიშვნელობა. კვლევითი პრიორიტეტები უნდა იყოს დაწესებული იმ სფეროებში, რომლებშიც უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია აკადემიამ შეიმუშავოს სტრატეგია კვლევითი ცენტრისათვის, რომელსაც ექნება ღიად განსაზღვრული ამოცანები, სამოქმედო გეგმა და შესრულების ინდიკატორები. ასევე აკადემიამ მხარი უნდა დაუჭიროს ინტერნაციონალიზაციის პროცეს და მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ქსელებსა და პროგრამებში.
მეშვიდე სტანდარტში მოცემული იყო მცირე რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციების ერთი ნაწილი ეხებოდა ტექნიკურ საკითხს, ხოლო მეორე ნაწილი კი კვლევითი მიმართულებით ბიუჯეტის გაზრდას. ამრიგად, საერთაშორისო ექსპერტის პოზიციით, ასეთი იყო დაწესებულების მიმართ გაცემული რეკომენდაციები. თითოეული რეკომენდაციის შესახებ დეტალური ინფორმაცია კი მოცემული იყო დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიან თი პოზიცია.
შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორი, სალომე პირველი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დასკვნის შესაბამისად დაწესებულებას მიაჩნია, რომ მეორე და მეოთხე სტანდარტი უნდა შეიცვალოს შეფასებით „სრულად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო მეხუთე და მეშვიდე სტანდარტი „შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. მეორე სტანდარტის პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სენატის ფუნქციებისა და მოვალეობების გადახედვას, რათა მკაფიოდ განსაზღვრულიყო მისი როლი სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაში. მისი თქმით, სენატი დაწესებულებაში ერთ იერარქიულ საფეხურზე მდგომი კოლეგიალური ორგანოა, რომელიც პასუხისმგებელია აკადემიაში საგანმანათლებლო აკადემიური და სამეცნიერო სამუშაოს უზრუნველყოფაზე. ის ამტკიცებს ყველა სამართლებრივ დოკუმენტს, მათ შორის, სტრატეგიულ სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტირების პროცეს. შესაბამისად, ეს ორგანო არის არა სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაზე, არამედ სამართლებრივად გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელი. აკადემიამ კვლევისთვის შექმნა „სამეცნიერო კვლევითი ცენტრი“, რომელმაც ფუნქციონირება დაიწყო 2024 წელს და მხოლოდ კვლევაზეა ეს ცენტრი პასუხისმგებელი. ამრიგად, დაწესებულება სენატის დებულებაში ცვლილებას ვერ განახორციელებს იმიტომ, რომ ეს ეწინააღმდეგება აკადემიური თავისუფლების პრინციპს.
მეორე სტანდარტში მოცემული მეორე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, ამ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, დამფუძნებელთა კრების/საბჭოს ფორმალური ინტეგრირება ინსტიტუციურ სტრუქტურაში, რაც ლოგიკური და გამჭვირვალე იქნებოდა.“ სალომე პირველის თქმით, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა საშუალება, რომ შეხვედროდა აკადემიის დამფუძნებელს, მაკა ქობალავას, რომელიც არის 100%-იანი წილის მესაკუთრე. ეს რეკომენდაცია არის სრულად მიუღებელი, იმიტომ, რომ სტრუქტურის დალაგება გემოვნების საკითხს წარმოადგენს. ამავე სტანდარტის მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა დაწესებულების მიერ სენატის წევრების არჩევის პროცესის მკაფიოდ და გამჭვირვალედ გახდომას. დაწესებულების რექტორის თქმით, ექსპერტები დასკვნაში წერენ, რომ აკდემიამ სენატის ახალი დოკუმენტი დაამტკიცა, თუმცა ეს დოკუმენტი არ ყოფილა ექსპერტთა ჯგუფისთვის გაზიარებული. სალომე პირველმა განაცხადა, რომ აღნიშნული დოკუმენტი მოთხოვნილი არ იქნა ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში და არც დამატებით დოკუმენტაციაში, თუმცა იგი ხელმისაწვდომი იყო და არის თბილისის თავისუფალი აკადემიის ოფიციალურ ვებგვერდზე. მან აღნიშნა, რომ სენატის შემადგენლობა განისაზღვრება შვიდი წევრით. ერთი წევრი არის დამფუძნებელი და ერთი წევრი რექტორი, რომლებიც არ არიან ცვლადი წევრები. შემდეგ არის სკოლის საბჭოს მიერ წარმოდგენილი ორი აკადემიური

პერსონალი, მათ შორის, ერთი აფილირებული და ერთი მოწვეული პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი ორი სტუდენტი. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სტუდენტური თვითმმართველობის დებულებაში არ იყო მოცემული იმის შესახებ წესი, თუ როგორ ირჩევენ სტუდენტები ორ წარმომადგენელს სენატისთვის. სალომე პირველმა ხაზი გაუსვა იმას, რომ „უმაღლესი განათლების“ შესახებ კანონის 45-ე მუხლი იმპერატიულად კრძალავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ჩარევას სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობაში. შესაბამისად, ამ მუხლის საფუძველზე დაწესებულებას არ შეეძლო შეეცვალა მათი დებულება. სალომე პირველის თქმით, დასკვნაში არის ისეთი რეკომენდაციები, რომლებიც იწყება შემდეგი სიტყვებით: „გაძლიერდეს“, „გაუმჯობესდეს“, „დამატებით“, „მეტი ყურადღების დათმობით“. ამ სიტყვებით შედგენილი რეკომენდაციები უნდა ატარებდეს არა რეკომენდაციის, არამედ რჩევის სახეს. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ხარისხის მექანიზმების მეტად ამოქმედებას. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ხარისხის მექანიზმების განხორციელება და ხარისხის კულტურა არის საგანმანათლებლო ინსტიტუციისათვის უპირველესი. ამ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტი, ანჟელა აბულაძე, რომელიც დამოუკიდებლად ამოწმებს ამ სტანდარტს სხვა უნივერსიტეტებში. შესაბამისად, ასეთი რეკომენდაციის გაცემა იყო არარელევანტური. ასევე რეკომენდებული იყო პერსონალის ინფორმირება თანამშრომელთა შეფასების პროცესის შესახებ. სალომე პირველის თქმით, თითოეული პერსონალი ეცნობა იმ ანკეტა-კითხვარს, რომელსაც ხელს აწერს. შესაბამისად, თუ პირი ამ დოკუმენტზე მოაწერს ხელს, მაშინ ის ვალდებული იქნება შეისწავლოს ეს დოკუმენტი.
ასევე, რეკომენდებული იყო უნივერსიტეტის მიერ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის დეტალური დასაბუთება და ასეთი მეთოდოლოგიის წარმოდგენა. სალომე პირველმა აღნიშნა, რომ აკადემიამ 2021 წელს დაამტკიცა სტუდენტთა და პერსონალის კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მეექვსე მუხლში მოცემულია სტუდენტებთან მიმართებაში აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის წესი. შესაბამისად, ამ საკითხთან დაკავშირებით აღარ უნდა ყოფილიყო კითხვები.
მესამე სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით რექტორმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები და მსჯელობა პირდაპირ აცდენილია შეფასების იმ ცხრილთან, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა. აკადემიამ წარმოადგინა პროგრამის განმავითარებელი ჯგუფები, სადაც ჩანს გარე შემფასებლისა და კურსდამთავრებულების ყველა პროგრამაში ჩართულობა. მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 2023 წლის დეკემბერში დაწესებულებამ გაიარა ავტორიზაცია და შვიდივე სტანდარტში მიიღო სრული შესაბამისობა. აკადემიამ მაისში წარადგინა თვითშეფასების დოკუმენტი. შესაბამისად, შეუძლებელი იყო ამ ხუთ თვეში დაწესებულებას რაიმე ისეთი გაეფუჭებინა, რომ მეოთხე სტანდარტის შეფასება „ნაწილობრივ შესაბამისობით“ შეცვლილიყო. მაშინ, როდესაც ამ დაწესებულებაში უკიდურესად მძიმე მდგომარეობა იყო, აკადემიაში მუშაობდა 26 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. დღევანდელი მდგომარეობით აკადემიაში მუშაობს 105 აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
მისი თმით, საერთაშორისო ექსპერტმა, მილან პოლმა, რომელიც მათი თანამშრომელია, აღნიშნა, რომ აკადემიამ ოთხწლიანი განვითარების საუკეთესო პრაქტიკა აჩვენა, კერძოდ, დაიმატა ახალი პროგრამები და დაასაქმა ახალი თანამშრომლები, რომლებიც ორიენტირებული არიან სტუდენტებზე. შეუძლებელია ვერ დაინახო ის განვითარება, რომელიც აკადემიამ ოთხი წლის განმავლობაში გააკეთა. მეოთხე სტანდარტში მოცემული ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ საკუთარი უფლებებისა და პასუხისმგებლობების გაცნობას. სალომე პირველის თქმით, აფილირებულ პერსონალთან დადებული შრომითი ხელშეკრულება დეტალურად მოიცავს დასაქმებულის უფლებებსა და მოვალეობებს. ასევე თითოეული სკოლის საბჭო სრულად არის დაკომპლექტებული აფილირებული პერსონალით. გარდა ამისა, სენატში ორი აკადემიური პერსონალიდან

ერთ-ერთი აფილირებული პროფესორია. შესაბამისად, შეუძლებელია, რომ ეს ადამიანები არ იცნობდნენ საკუთარ უფლებებსა და მოვალეობებს. ამავე სტანდარტში მოცემული მეორე რეკომენდაცია ეხებოდა აფილირებული აკადემიური პერსონალის ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. მაშინ, როდესაც დაწესებულება ამბობს, რომ აკადემიური საბჭო და სენატი დაკომპლექტებულია აფილირებული პერსონალისაგან, ეს ნიშნავს იმას, რომ აფილირებული პერსონალი ჩართულია გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.
მესამე რეკომენდაცია ეხებოდა დაწესებულების მიერ პერსონალის ყველა წევრის განვითარების მიზნით სამუშაო სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი ტრენინგების განხორციელებას. დაწესებულებამ ექსპერტებს განუმარტა, რომ აკადემიაშია ჩატარდა 100-ზე მეტი ტრენინგი. ამ კუთხით დაწესებულება ატარებს კვლევებს. თუ კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ პერსონალი საჭიროებს სამუშაო სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი ტრენინგებით უზრუნველყოფას, მაშინ აკადემია ამას დიდი ყურადღებით მოეკიდება. აღნიშნული სტანდარტის მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიის მიერ პერსონალის მხარდაჭერით უზრუნველყოფას საზღვარგარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. სალომე პირველის თქმით, დაწესებულებამ დაიწყო ერთობლივი პროექტი „რუსეს უნივერსიტეტთან“ და ოქტომბრის თვეში ერთი აკადემიური პერსონალი და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ბულგარეთის „რუსეს უნივერსიტეტში“, რაც სრულად იქნა დაფინანსებული თბილისის თავისუფალი აკადემიის ბიუჯეტიდან. ასევე თბილისის თავისუფალი აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა დიდ ბრიტანეთში. აკადემიამ 2024 წელს ოთხი წარმატებული მივლინება განახორციელა. შესაბამისად, როდესაც გაიზრდება სტუდენტების კვოტა, რა თქმა უნდა, გაიზრდება ამ კუთხით დაგეგმილი აქტივობებისთვის შესაბამისი ბიუჯეტირება. მეხუთე რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიის მიერ პერსონალის საშტატო განრიგის დროულად განახლებას, როგორც შიდა დონეზე, ასევე ხარისხის მართვის სისტემის მონაცემთა ბაზაში, რათა ნათელი იყოს პერსონალის დატვირთვა სხვა დაწესებულებებში.
რექტორის თქმით, აღნიშნული ბაზის შევსება აკადემიის მხრიდან ხორციელდება 2018 წლიდან ყოველ სემესტრულად. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ერთ-ერთი აკადემიური პერსონალის კითხულობს კვირაში 161 საათს. მარტივი არითმეტიკაა, რომ 161 საათი გაყოფილი 6 სამუშაო დღეზე შეადგენს 27 საათს, რაც შეუსაბამოა ყველა გარემოებასთან მიმართებაში რამეთუ დღე - ღამეში 24 საათია და დასკვნაში მისი ამდაგვარად ასახვა სრულად მიუღებელია. მეხუთე სტანდარტში მოცემულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ თბილისის თავისუფალმა აკადემიამ ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია მოიპოვა 2024 წლის 16 ივლისს. დაწესებულების ოფიციალურ ვებ - გვერდზე შექმნილი ჰქონდა და აქვს გვერდი ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. გვერდი მოიცავს პროგრამის კატალოგის, დაშვების წინაპირობის, პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის უპირატესობების შესახებ ინფორმაციას.
მეორე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი შინაარსით იყო მოცემული: „რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი პერსონალის გადამზადება საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურასთან დაკავშირებით“. მისი თქმით, თბილისის თავისუფალმა აკადემიამ ინგლისურენოვანი ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაცია მოიპოვა 2024 წლის 16 ივლისს. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა აკრედიტაციის მიღებიდან 1 თვეში. შესაბამისად, ყოვლად გაუგებარია აღნიშნული მოცემულობის რეკომენდაციად გაწერა, რადგან ზაფხულის შუა პერიოდში (საშვებულებო პერიოდი) ვერცერთი მოცემულობით ვერ განხორციელდებოდა პერსონალის გადამზადება. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზებას. სალომე პირველის თქმით, მიმდინარე პერიოდში აკადემიას მიღებული აქვს სამი საერთაშორისო პარტნიორის თანხმობა „Erasmus+“ პროექტში ერთობლივი მონაწილეობის

შესახებ. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს შეთანხმება მიღწეულია ინგლისურენოვანი პროგრამის ამოქმედებისთანავე მყისიერად, უმოკლეს დროში. მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემია სრულად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. მეშვიდე სტანდარტში მოცემულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ რეკომენდაციაში მოცემული შენიშვნა უკვე გამოსწორებულია. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ბიუჯეტის გაზრდას სამეცნიერო საქმიანობის, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და კვლევების მხარდაჭერისთვის. სალომე პირველმა აღნიშნა, რომ აკადემიამ წარმოადგინა 2023 და 2024 წლის ბიუჯეტი. ასევე 900 სტუდენტის შემთხვევაში მოსალოდნელი ბიუჯეტირება, სადაც ეს ხარჯი 25 000 ლარით იყო გაზრდილი და ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში არ აღნიშნა. მისი თქმით, აკადემიას უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ გახდეს უნივერსიტეტი და აჩვენოს თავისი საუკეთესო მაჩვენებელი. თუ აკადემია ვერ გახდება უნივერსიტეტი, მაშინ ის ვერასდროს ვერ დაძლევს იმ პრობლემებს, რომლებიც ახლა დგას. ამრიგად, ასეთი გახლავთ შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

ექსპერტმა მარიამ ღამბაშიძემ მეორე სტანდარტში გაცემულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სენატის ორგანო პასუხისმგებელია საგანმანათლებლო, აკადემიური და სამეცნიერო სამუშაოს უზრუნველყოფაზე. ეს ჩანაწერი მოცემულია სენატის დებულებაში. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განაცხადა, რომ ეს ორგანო ორიენტირებული იყო საგანმანათლებლო დოკუმენტების დამტკიცებაზე, თუმცა არაფერი იყო ნახსენები იმის შესახებ თუ სამეცნიერო სამუშაოების რა დოკუმენტების დამტკიცებას უზრუნველყოფდა სენატი. ექსპერტთა ჯგუფი არ ითხოვდა სენატის სამეცნიერო სამუშაოს უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ ორგანოდ გადაქცევას. აღნიშნული რეკომენდაციის გაცემა გამოიწვია მხოლოდ ზემოთ აღნიშნულმა ჩანაწერმა. ამავე სტანდარტის მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ დამფუძნებელთა საბჭო მნიშვნელოვან როლს ასრულებს დაწესებულების მართვაში რექტორის დანიშვნის გზით, ლოგიკური იქნებოდა დამფუძნებელთა საბჭოს ფორმალური ინსტიტუციური სტრუქტურის ნაწილი ყოფილიყო ეს ორგანო. თუ აკადემია შეასრულებს ამ რეკომენდაციას, მაშინ ეს უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარისთვის საკუთარი ფუნქციებისა და გადაწყვეტილების მიღების წესის გაგებას. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სენატის დებულებაში ნახსენები იყო იმის შესახებ ინფორმაცია თუ როგორ ხდებოდა სენატის თავმჯდომარის არჩევა, თუმცა არაფერი იყო ნათქვამი მისი წევრების არჩევაზე. აღნიშნულ დოკუმენტში ნახსენებია, რომ ხდება სენატის წევრების არჩევა, თუმცა რა გზით, გაუგებარია. სამწუხაროდ, სტუდენტებისა და პერსონალის დიდ ნაწილს სენატის წევრობაზე ხელმისაწვდომობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა. გარდა ამისა, სენატის ზოგიერთ წევრს არ ჰქონდა ინფორმაცია მათი უფლებამოსილების ვადისა და შეწყვეტის შესახებ. სენატის სხდომას ჰყავს მდივანი, თუმცა არ ეწერა მისი არჩევის წესი. შესაბამისად, ეს იყო მეოთხე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. მეორე სტანდარტის მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა, რომ დაწესებულებამ ეს რეკომენდაცია რეკომენდაციების გაზრდის მიზნით გაცემულ რეკომენდაციად მიიჩნია, რაც ძალიან სამწუხაროა. მისი თქმით, საერთაშორისო სამსახურის ცნობით ინტერნაციონალიზაციის ეფექტურობას ხარისხის სამსახური აფასებდა, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ეს არ დაადასტურა. „HR“ სამსახური ახორციელებს პერსონალის საქმიანობის შეფასებას, თუმცა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამ ყველაფრის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში არ იყო ჩართული. შესაბამისად, ეს იყო მეექვსე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი. მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიას ჰყავდა ბევრი ახალი თანამშრომელი დასაქმებული, რაც მიუსალმებელი იყო, თუმცა ისინი არ იცნობდნენ საკუთარ ფუნქცია - მოვალეობებს. შესაბამისად, ეს იყო მეშვიდე რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

მარიამ ღამბაშიძემ მერვე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტს დეტალურად ეწერა აქტივობები როგორც სტრატეგიულ გეგმაში, ისე ინტერნაციონალიზაციის

პოლიტიკაში, თუმცა ეს ორივე დოკუმენტი მოკლებული იყო იმ კონკრეტული ვადების შესრულებას, რაც ავტორიზაციის დებულებით არის გათვალისწინებული. მეათე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ნამდვილად არ აყენებდა ანჟელა აბულაძის კვალიფიკაციას ეჭვქვეშ. ამ რეკომენდაციაში საუბარი იყო მხოლოდ იმაზე, რომ ერთი ადამიანი ვერ გასწვდებოდა იმ ძალისხმევას, რაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მექანიზმების განხორციელებას დასჭირდებოდა. პერსონალის შეფასებასთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პერსონალს არ ახსოვდა როდის შეფასდა და რა კრიტერიუმებით. შესაბამისად, ამიტომ გაიცა ეს რეკომენდაცია. სტუდენტთა კვოტის გაზრდასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფი აკადემიისაგან ითხოვდა განმარტებას 900 სტუდენტთან დაკავშირებით. სტუდენტთა კონტინგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია არ იყო საკმარისი მტკიცებულება მათი ამ მოთხოვნის განსამტკიცებლად. ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნაში აღნიშნა, რომ დაწესებულება მატერიალურად და საინფორმაციო რესურსით მზად იყო 900 სტუდენტით საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. სამიზნე ნიშნულების მიღწევის ვადებთან დაკავშირებით დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი მიღწეული იყო. მარიამ ღამბაშიძის თქმით, თუ ეს ყველაფერი მიღწეულია, მაშინ ეს გამოდის ფაქტობრივი გარემოება და არა სამიზნე ნიშნული. შესაბამისად, სწორედ ეს იყო მეჩვიდმეტე რეკომენდაციის გაცემის ერთ-ერთი არგუმენტი.

ექსპერტმა ნათია მაღალაშვილმა უნივერსიტეტის ვებ-გვერდთან დაკავშირებით განმარტა, რომ როდესაც ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა დაწესებულებაში, ვებ - გვერდი არ მოიცავდა ინფორმაციას საერთაშორისო სტუდენტებისთვის ჩარიცხვის პროცედურის შესახებ. მეხუთე სტანდარტის მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით დასაქმებული ადამიანი ვერ სცემდა ინტერვიუების დროს პასუხს იმ საკითხთან დაკავშირებით თუ რა პროცედურები უნდა გაევლოთ უცხოელ სტუდენტებს ამ მიმართულებაზე ჩასარიცხად. შესაბამისად, ეს იყო აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი.

ექსპერტმა ეკა ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მკაფიოდ გამოიკვეთა აკადემიის წინსვლა. მისი თქმით, ის იყო მეექვსე სტანდარტში მოცემულ რეკომენდაციებზე პასუხისმგებელი პირი. სიმკაცრე აღნიშნული სტანდარტის შეფასებისა განაპირობა იმან, რომ აკადემია მანამდე სხვა მდგომარეობაში იყო, კერძოდ, ის ფასდებოდა ავტორიზაციის სტანდარტებით არა როგორც უნივერსიტეტის, არამედ კოლეჯის სტატუსით. მან აღნიშნა, რომ აკადემიას მოუწევს გააძლიეროს და გაითვალისწინოს ის რეკომენდაციები, რომლებიც ექსპერტთა ჯგუფმა გასცა, რადგან სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი უნივერსიტეტის შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებულად უნდა იყოს წარმოდგენილი.

შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორმა, სალომე პირველმა, აკადემიის ვებ-გვერდთან დაკავშირებით განმარტა, რომ თვითშეფასების დოკუმენტში დაწესებულებას მითითებული ჰქონდა ლინკი, რომელიც ეხებოდა აკადემიის აშშ-ის საუნივერსიტეტო კვლევის ადმინისტრატორთა ეროვნულ საბჭოს წევრად გახდომას. ეს ლინკი ემსახურებოდა მხოლოდ ამ ინფორმაციის გაზიარებას ექსპერტებისთვის. რაც შეეხება სპეციალური გვერდის შექმნას უცხოელი აბიტურიენტებისთვის, ეს იყო სხვა ლინკის სახით წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტში. პარტნიორთა კრებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მიხედვით, შპს-ს უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა დამფუძნებელი. შესაბამისად, ეს გაწერილი იქნებოდა თუ არა შესაბამის დოკუმენტში, მხოლოდ გემოვნების საკითხი იყო. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სენატის დებულება არ მოიცავდა სენატის წევრის გადაწყვეტილების მიღების წესს. მისი თქმით, სენატის დებულების მესამე მუხლის 3.4 პუნქტი ამბობს, რომ სენატი გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ანჟელა აბულაძემ განაცხადა, რომ ის იყო ამ სამსახურის ერთადერთი თანამშრომელი და მასწავლებლის მომზადების პროგრამის თანახელმძღვანელი. მისი თქმით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ნამდვილად არ არის იმისი პრობლემა, რომ ერთი ადამიანი ვერ უძღვებოდეს ამ საქმეს. თუ საჭირო გახდება

დამატებითი პერსონალის დამატება, რა თქმა უნდა, აკადემია ამას უზრუნველყოფს. მან აღნიშნა, რომ ხარისხის მართვის სამსახური უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამების და სწავლა სწავლების ხარისხის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების და მათი სამეცნიერო კუთხით მოღვაწეობის შეფასებას და ა.შ. მისი თქმით, ადამიანური მართვის სამსახური აწარმოებს ადმინისტრაციული პერსონალის შეფასებას, რომელიც არის სრულად დამოუკიდებელი. ეს სამსახური არ არის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დაქვემდებარების ქვეშ. ანგარიშების წარმოდგენასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეული წლის ბოლოს აკეთებს ანგარიშს საკუთარ სამსახურთან მიმართებით, რომელსაც წარუდგენენ ხარისხის მართვის სამსახურს. ეს უკანასკნელი კი უკეთებს კომპილაციას და გადასცემს რექტორს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვების არსებობის შემთხვევაში დაესვათ შ ეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ, კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რომელ რეკომენდაციებს იზიარებდა აკადემია. შპს თბილისის თავისუფალი აკადემიის რექტორმა, სალომე პირველმა აღნიშნა, რომ აკადემია იზიარებდა პირველი სტანდარტის, მეორე სტანდარტის და მეექვსე სტანდარტის რეკომენდაციებს.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ, მესამე სტანდარტში მოცემულ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია იყო მისი აზრით არარელევანტური. მისი თქმით, შეუძლებელია ყოველ სემესტრში ჯგუფების მიხედვით მოხდეს სილაბუსების განახლება.

საბჭოს წევრმა, მამუკა ხუსკივაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტებს. მისი თქმით, პირველ სტანდარტში მოცემული იყო შემდეგი შინაარსის რეკომენდაცია: „რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაამდიდროს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი გარე დაინტერესებული მხარეების უფრო აქტიური ჩართულობით“. მესამე სტანდარტის პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების - კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობის გაზრდას. მას აინტერესებდა, შეიძლებოდა თუ არა ამ ორი რეკომენდაციის გაერთიანება და ერთი ფორმით წარმოდგენა.

საერთაშორისო ექსპერტმა, ნორა სკაბურსკიენემ (Nora Skaburskiene) განაცხადა, რომ პირველ სტანდარტში აღნიშნული რეკომენდაცია ეხებოდა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას ზოგად სტრატეგიულ მიმართულებებში, ხოლო მესამე სტანდარტი პირდაპირ ფოკუსირებული იყო პროგრამების განვითარებაზე. შესაბამისად, ეს არის ორი განსხვავებული რეკომენდაცია, რომელიც ცალ-ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი.

სხდომაზე გამოცხადდა სთათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:25
დასრულების დრო: 16:35

ავტორიზაციის საბჭომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საავტორიზაციო დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე, ავტორიზაციის მე-4 სტანდარტის 4.2 კომპონენტი, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან“, შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“, რამაც გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად, „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრა ზედააყენა: შპს თბილისის თავისუფალი აკადემიისთვის ავტორიზაციის მინიჭების, ერთ წელში მონიტორინგის განხორციელებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300- ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე -13
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალ აკადემიას (ს/კ 204876991) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300 - ით დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელდეს 1 წლის ვადაში.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 21 ნოემბერს.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები.

რეკომენდაციები
სტანდარტი 1.
● რეკომენდებულია, თბილისის თავისუფალი აკადემიის მისიის განაცხადის დახვეწისას, მასში კვლევისა და მესამე მისიის უფრო მკაფიოდ ჩართვის შესაძლებლობის გათვალისწინება.
● რეკომენდებულია, დაწესებულების განმასხვავებელ მახასიათებლებზე ყურადღების გამახვილება. განიხილეთ მისიის განაცხადში დაწესებულების განმასხვავებელი მახასიათებლების უფრო კონკრეტულად ასახვა. ეს შეიძლება უკავშირდებოდეს სპეციალიზებულ პროგრამებს, ინტერდისციპლინურ მიდგომებს ან სოციალური გავლენის ვალდებულებას.
● რეკომენდებულია, მომავალ დაგეგმვის პერიოდში ფოკუსირება მოხდეს კვლევითი პროდუქტიულობისა და მისი ხარისხის გაზრდაზე.
● რეკომენდებულია, აკადემიამ თავის სტრატეგიაში გაითვალისწინოს საზოგადოების განვითარებაზე მისი გავლენა, რათა შექმნას ჩარჩო მისი ძირითადი საქმიანობისთვის და განსაზღვროს ან გამოავლინოს საზოგადოების განვითარებაზე მისი გავლენის გაზომვის რამდენიმე ინდიკატორი. საზოგადოების განვითარებაზე გავლენის ეფექტურობის შესაფასებლად, რეკომენდებულია, აკადემიამ შეადაროს თავისი შედეგები სხვა უმაღლეს სასწავლებლებს.
● რეკომენდებულია, აკადემიამ მკაფიოდ განსაზღვროს საზოგადოების განვითარებაზე მისი გავლენის შესაფასებლად საჭირო მონაცემთა ერთობლიობა და შექმნას ასეთი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მექანიზმი.
● რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაამდიდროს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი გარე დაინტერესებული მხარეების უფრო აქტიური ჩართულობით.
სტანდარტი 2.
● რეკომენდებულია გადაიხედოს სენატის ფუნქციები და მოვალეობები, რათა მკაფიოდ განისაზღვროს მისი როლი სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერაში.

● რეკომენდებულია, ამ პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, დამფუძნებელთა კრების/საბჭოს ფორმალური ინტეგრირება ინსტიტუციურ სტრუქტურაში, რაც ლოგიკური და გამჭვირვალე იქნებოდა.
● რეკომენდებულია, ყველა შესაბამისი დოკუმენტის რაც შეიძლება სწრაფად განახლება, რათა ზუსტად ასახავდეს არსებულ მდგომარეობას.
● რეკომენდებულია, დაწესებულებამ მკაფიო და გამჭვირვალე გახადოს სენატის წევრების არჩევის პროცესი შერჩევისა და არჩევის ფორმალური სახელმძღვანელო პრინციპების დადგენით, მათ შორის შერჩევის კრიტერიუმებისა და არჩევის მეთოდის ჩათვლით. ასევე აუცილებელია ყველა სტუდენტისა და პერსონალის ინფორმირება სენატის წევრობის შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების შესახებ. უფრო მეტიც, სენატის ყველა წევრმა და არა მხოლოდ თავმჯდომარემ, უნდა გაიაროს ყოვლისმომცველი ტრენინგი მათი როლებისა და მმართველობის ძირითად საკითხებზე.
● რეკომენდებულია თავისუფალმა აკადემიამ გადახედოს ფინანსური და მატერიალური რესურსების დეპარტამენტის მარეგულირებელ წესებს, რათა მკაფიოდ გამიჯნოს პასუხისმგებლობები უფროს სპეციალისტს, რომელიც ასევე დეპარტამენტის ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებს, და სხვა სპეციალისტს შორის.
● რეკომენდებულია, სტრუქტურულ ერთეულებს შორის თანამშრომლობის კულტურის გაძლიერება.
● რეკომენდებულია ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა, განსაკუთრებით შედარებით ახალმა თანამშრომლებმა, კარგად გაიაზრონ თავიანთი პასუხისმგებლობები.
● რეკომენდებულია, რომ აკადემიამ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში უფრო დეტალურად გაწეროს საერთაშორისო აქტივობების განხორციელების გეგმა.
● რეკომენდებულია, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ჰქონდეს მეტი ინფორმაცია დაწესებულების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესახებ (განსაკუთრებით საერთაშორისო აქტივობების შესახებ), ასევე დაწესებულებაში მიმდინარე ინტერნაციონალიზაციის პროცესების შესახებ. გარდა ამისა, დაწესებულებამ უნდა შეაფასოს ინტერნაციონალიზაციის პროცესების ეფექტურობა.
● რეკომენდებულია, ხარისხის მართვის სამსახურმა გააქტიუროს ხარისხის პოლიტიკაში აღწერილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელება. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სრულად უნდა უზრუნველყოს PDCA ციკლის სრული განხორციელება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პერსონალის სამუშაო დატვირთვას.
● რეკომენდებულია, დაწესებულებამ მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში კურსდამთავრებულების ჩართულობას.
● რეკომენდებულია, ხარისხის მართვის სამსახურმა უზრუნველყოს ყველა სტრუქტურული ერთეულისთვის წლიური ანგარიშების გაგზავნისა და მათგან უკუკავშირის მიღების სისტემურობა.
● რეკომენდებულია, აკადემიამ უზრუნველყოს პერსონალის ინფორმირება თანამშრომელთა შეფასების პროცესის შესახებ. უზრუნველყოფილ უნდა იქნას ყველა თანამშრომლის ჩართულობა შეფასების პროცესში.
● რეკომენდებულია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინოს სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის დეტალური დასაბუთება და შესაბამისი მტკიცებულებები, სტუდენტთა კვოტის გაზრდის შემთხვევაში. ეს უნდა ეფუძნებოდეს აკადემიის არსებული და სამომავლოდ დაგეგმილი რესურსების შეფასების ანალიზს, აბიტურიენტების მოთხოვნის ანალიზს, აკადემიური პერსონალის რაოდენობის მიზანშეწონილობას და იმის მტკიცებულებას, რომ დაწესებულება შეძლებს სწავლების მაღალი ხარისხის შენარჩუნებას გაზრდილი კონტინგენტის პირობებშიც. სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის საჭიროების დასაბუთებით, დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოფს, რომ გადაწყვეტილება იყოს კარგად დასაბუთებული და შეესაბამებოდეს მის სტრატეგიულ მიზნებს.

● რეკომენდებულია, რომ აკადემიამ გულდასმით შეიმუშაოს პერსონალის სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პოლიტიკა.
● რეკომენდებულია, აკადემიამ გადახედოს თავის პოლიტიკას და დააზუსტოს ტექსტის მსგავსების მისაღები პროცენტული მაჩვენებელი, ნაცვლად იმისა, რომ პლაგიატი იყოს მისაღები.
სტანდარტი 3.
● რეკომენდებულია პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების - კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების მონაწილეობის გაზრდა.
● რეკომენდებულია, აკადემიამ უზრუნველყოს რეგულაციების პრაქტიკაში განხორციელება: აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინფორმირებული უნდა იყოს, თუ როგორ შეაფასონ სასწავლო კურსის სილაბუსის სირთულის ხარისხი ჯგუფის შესაძლებლობებთან მიმართებაში, ყოველი სემესტრის შემდეგ. ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე უნდა განხორციელდეს პერიოდული გადახედვა საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით.
სტანდარტი 4.
● რეკომენდებულია, აფილირებული აკადემიური პერსონალი სრულად იცნობდეს საკუთარ უფლებებს და პასუხისმგებლობებს.
● რეკომენდებულია აფილირებული აკადემიური პერსონალის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
● რეკომენდებულია, დაწესებულებამ პერსონალის ყველა წევრის განვითარების მიზნით უზრუნველყოს სამუშაო სფეროსთან დაკავშირებული შესაბამისი ტრენინგების განხორციელება. ● რეკომენდებულია აკადემიამ მხარი დაუჭიროს პერსონალს საზღვარგარეთ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი საქმიანობისთვის.
● რეკომენდებულია, აკადემიამ დროულად განაახლოს პერსონალის საშტატო განრიგი, როგორც შიდა დონეზე, ასევე ხარისხის მართვის სისტემის მონაცემთა ბაზაში, რათა ნათელი იყოს პერსონალის დატვირთვა სხვა დაწესებულებებში.
● რეკომენდებულია შემუშავდეს სპეციალური მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო აკადემიური და მოწვეული პერსონალის ოპტიმალურ რაოდენობას სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებაში.
სტანდარტი 5.
● რეკომენდებულია ვებ-გვერდზე შეიქმნას სპეციალური გვერდი უცხოელი აბიტურიენტებისთვის, სადაც საჯაროდ ხელმისაწვდომი იქნება ინფორმაცია მიღების პროცესისა და ჩარიცხვის კრიტერიუმების შესახებ.
● რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი პერსონალის გადამზადება საერთაშორისო სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურასთან დაკავშირებით.
● რეკომენდებულია სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამების შეთავაზება.
● რეკომენდებულია, აკადემიური მიზნებისთვის სოციალური მედიის გამოყენების ჩანაცვლება და სტუდენტთა ბაზის გამოყენების გაზრდა.
სტანდარტი 6.
● რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ინსტიტუციურ მხარდაჭერას და გაძლიერდეს კვლევაზე აქცენტი როგორც სტრატეგიაში, ასევე ყოველდღიურ საქმიანობაში, იმისათვის, რომ აკადემიამ "კოლეჯის" სტატუსი შეიცვალოს "“უნივერსიტეტის" სტატუსით.
● რეკომენდებულია, მომავალი პერიოდისთვის კვლევების ახალი განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისას, მეტი ყურადღება გამახვილდეს დაწესებულების კვლევით პრიორიტეტებზე, რათა უზრუნველყოფილ იქნას აკადემიის მისიისა და სტრატეგიული მიზნების განხორციელება და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

● რეკომენდებულია, აკადემიის აფილირებული აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, იმისათვის, რომ სტუდენტები აქტიურად ჩაერთონ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. ეს, თავის მხრივ, უზრუნველყოფს კვლევის შედეგების ეფექტურ ინტეგრირებას სასწავლო პროცესში და სტუდენტებისთვის უკეთეს სამეცნიერო გამოცდილებას.

● რეკომენდებულია, აკადემიამ უფრო მკაფიოდ განსაზღვროს კვლევითი საქმიანობის არსი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, გააკეთოს აქცენტი მაღალი დონის პუბლიკაციებზე და ფოკუსირდეს იმ კვლევით პროექტებზე, რომლებიც მნიშვნელოვანია აკადემიისთვის და შეესაბამება სტრატეგიულ პრიორიტეტებს.

● რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს და დაადგინოს კვლევითი პრიორიტეტები იმ დარგების შესაბამისად, რომლებშიც ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები, რათა მოხდეს აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფა, კვლევითი პროდუქტების კომერციალიზაციის შესაძლებლობების გაზრდა და საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების ხელშეწყობა.

● რეკომენდებულია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ახლად შემუშავებული სისტემის ეფექტური განხორციელება კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შესაფასებლად.

● რეკომენდებულია, გაიზარდოს ბიუჯეტი კვლევის მხარდაჭერის სისტემის გასაუმჯობესებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადეკვატური ფინანსური მხარდაჭერა პერსონალის კვლევითი საქმიანობისა და დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისთვის, განსაკუთრებით კვლევისა და განვითარების სფეროში, ასევე ფუნდამენტური კვლევების განვითარების ხელშესაწყობად.

● რეკომენდებულია, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრისთვის აკადემიამ შეიმუშაოს სტრატეგია მკაფიო და შესაფასებელი მიზნებით, შესაბამისი სამოქმედო გეგმა მიღწევადი მიზნებითა და ამოცანებით, ასევე, კვლევითი პროექტების შერჩევისა და შეფასებისთვის მკაფიო პროცედურა ვალიდური და გაზომვადი კრიტერიუმებით, რათა მოხდეს აფილირებული პერსონალის კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის გაძლიერება.

● რეკომენდებულია, კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში მონაწილეობის გზით, ვინაიდან მხოლოდ საერთაშორისო პარტნიორობას შეუძლია გააძლიეროს კვლევითი შედეგები და წაახალისოს აკადემიური პერსონალი იყოს უფრო აქტიური ამ მიმართულებით.

● რეკომენდებულია, აკადემიის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების/ერთეულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შიდა შეფასების პროცედურა შეესაბამებოდეს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების საერთაშორისო სტანდარტებს (როგორიცაა შეფასების პროცესში უცხოელი შემფასებლების მონაწილეობა, სამეცნიერო ბიბლიომეტრიის სხვადასხვა ფორმის გამოყენება და სხვ.).

● რეკომენდებულია, განხილულ იქნეს, უთმობს თუ არა სტრატეგიული განვითარების გეგმა და ოთხ-წლიანი სამოქმედო გეგმა სათანადო ყურადღებას სამეცნიერო / კვლევით საქმიანობას, და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ორივე დოკუმენტი იძლეოდეს შესაბამის ინდიკატორებს ამ სფეროში დაწესებულებისა თუ ცალკეული პერსონალის საქმიანობის შესრულების შესაფასებლად.

სტანდარტი 7.

● რეკომენდებულია კედლებზე განთავსდეს შეტყობინებები/გამაფრთხილებელი ნიშნები იმის შესახებ, რომ მიმდინარეობს ვიდეოთვალთვალის კამერებით ჩაწერა.

● რეკომენდებულია გაიზარდოს ბიუჯეტი სამეცნიერო საქმიანობის, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და კვლევების მხარდაჭერისთვის.

რჩევები

სტანდარტი 1.
● სასურველია, მომავალი პერიოდისთვის, ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას მეტი ყურადღება გამახვილდეს დაწესებულების პრიორიტეტებზე.
● სასურველია, შემუშავდეს სტრატეგიული და სისტემური მიდგომა უწყვეტი განათლების მიმართ და მოხდეს მისი ინტეგრირება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში.
სტანდარტი 2.
● სასურველია, რექტორის მოადგილის პოზიციის ხელახლა შემოღება, სტუდენტებისა თუ პერსონალის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევაში.
● სასურველია, მკაფიოდ განისაზღვროს ყველა შესაძლო გარემოება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს სკოლის საბჭოში სტუდენტი წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა, მათ შორის ისეთი სიტუაციები, როგორიცაა სტუდენტის სტატუსის შეჩერება ან სწავლის დასრულება.
● სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მკაფიო სტრატეგიის შემუშავება, რაც თავისუფალ აკადემიას მისცემს საშუალებას მხარი დაუჭიროს და გააკონტროლოს ინტერნაციონალიზაციის აქტივობების შესრულება.
● სასურველია, აკადემიამ განახორციელოს მეტი აქტივობა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის პლაგიატის აღმოჩენის პროგრამის შესაძლებლობების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და "Turnitin"-ის რეალურ პრაქტიკაში გამოყენების უნარების გაძლიერების მიზნით.
● სასურველია, დაწესებულებამ დაარეგულიროს კვლევის ეთიკის საკითხები.
● სასურველია, მოწვეული პერსონალის ჩართვა ეთიკის კოდექსში (მუხლი 20) და აკადემიის დებულებაში (მუხლი 6, პუნქტი 6.1), აკადემიურ პერსონალთან ერთად.
● სასურველია, დაწესებულებამ შეიმუშაოს ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების გამოყენების რეგულაციები.
სტანდარტი 4.
● სასურველია, უფრო მეტი სამართლიანობისთვის დამატებითი კრიტერიუმების გამოყენება იმ პირთა დიფერენცირებისა და შერჩევისთვის, ვინც უნდა დაწინაურდეს, იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებას არ გააჩნია დამატებითი ფინანსური რესურსები მეტი რაოდენობის თანამშრომლის დაწინაურებისთვის.
● სასურველია, პერსონალთან მიმართებაში, სამიზნე მაჩვენებლების უფრო მკაფიოდ ჩამოყალიბება.
სტანდარტი 5.
● სასურველია, გააუქმოთ გამოკითხვებში სტუდენტთა სავალდებულო მონაწილეობის მოთხოვნა. მონაწილეობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი.
სტანდარტი 7.
● სასურველია კვების ობიექტის ფართის გაზრდა და შესაბამისად მოწყობა.
● სასურველია ავტოსადგომის სივრცის შესაბამისი ნიშნულებით მონიშვნა.
● სასურველია სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

სხდომაზე გამოცხადდა 15 წუთიანი შესვენება.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ქრისტინა რზგოევამ.

2. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წ ევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახ ილველ საკითხთან მიმართებით.
საერთაშორისო ექსპერტი, მაურიციო ტირა (Maurizio Tira), მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა დაწესებულებას თანამშრომლობითი გარემოს შექმნისთვის. მან აღნიშნა, რომ დასკვნა იყო პოზიტიური. მისი თქმით, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი შესაბამისობაშია ყველა სტანდარტის მოთხოვნებთან. მთელი უნივერსიტეტის პერსონალს გაცნობიერებული აქვს ის მიზნები და ამოცანები, რომლებიც სტრატეგიული განვითარების გეგმით არის დასახული. მას შემდეგ, რაც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას, დასკვნაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა ექვსი რეკომენდაცია.
პირველი რეკომენდაცია ეხებოდა პერსონალის მიერ „Turnitin“ - ის პროგრამის გამოყენებას, რათა თავიდან ყოფილიყო არიდებული პლაგიატიზმი. მეორე რეკომენდაცია ეხებოდა ცნობიერების ამაღლებას პერსონალს შორის და ანტიპლაგიატიზმის სისტემის უკეთესად გამოყენებას. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სამუშაო დატვირთვის შედეგების და აკადემიური პერსონალის პერფორმანსის მექანიზმების გაუმჯობესებას. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო პერსონალის კვლევითი უნარების მდგრადობის გაუმჯობესებას. მეხუთე და მეექვსე რეკომენდაცია სპეციფიკურ აქტივობებთან იყო დაკავშირებული, კერძოდ, ისინი ეხებოდა ბიბლიოთეკის უფრო მეტად გაძლიერებასა და გაუმჯობესებას. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საბიბლიოთეკო აქტივობების წახალისება და ცნობიერების ამაღლება სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებში. ამრიგად, პირველი და მეორე რეკომენდაცია უკავშირდებოდა პლაგიატიზმს, ბოლო ორი რეკომენდაცია უკავშირდბოდა ბიბლიოთეკას, ხოლო მესამე მეოთხე და მეხუთე უკავშირდებოდა პერსონალს. რეკომენდაციების მიზანი, რა თქმა უნდა, ემსახურებოდა მხოლოდ დაწესებულების განვითარებას და ისინი არ განსხვავდებოდა იმ მიზნებისაგან, რომლებიც უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმით ჰქონდა დასახული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, უნივერსიტეტის მიმართ გაცემული იყო განმავითარებელი რჩევები, რომელთა დაკავშირებითა ექსპერტთა ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეეძლო საუბარი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის რექტორი, მაკა იოსელიანი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ დაწესებულება რიგით მეოთხე ავტორიზაციას გადიოდა. მისი თქმით, ეს პროცესი რთული, მაგრამ თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანი პროცესია იმისთვის, რომ დაანახოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. ყოველდღიურ რეჟიმში რთულია ადამიანმა დაინახოს როგორც გამოსასწორებელი მხარეები, ისე ის სიკეთეები, რომლებიც უნივერსიტეტს გააჩნია. მან აღნიშნა, რომ ყველამ კარგად იცოდა თუ რით დაიწყო დაწესებულებამ ფუნქციონირება და რა დონეს მიაღწია. მაკა იოსელიანმა მადლობა გადაუხდა საერთაშორისო ექსპერტს, მაურიციო ტირას (Maurizio Tira), იმ კეთილი სიტყვებისთვის და მხარდაჭერისთვის, რომელიც ვიზიტის დროს აღნიშნა. მისი თქმით, დაწესებულება თითოეულ რეკომენდაციასა და რჩევას დიდი ყურადღებით მოეკიდება გაუმჯობესების მიზნით. მან ასევე მადლობა გადაუხდა საკუთარ თანამშრომლებს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.
საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ „GIPA“-ს დაფუძნების დღიდან იცნობდა და ჰქონდა მასთან საერთო პროექტები გაკეთებული. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „Turnitin“ - ის პროგრამა 37%-ით ადგენდა პლაგიატს. დღეს ხელოვნური ინტელექტი (AI) იმდენად განვითარდა, რომ შესაბამის პროგრამებსაც კი უჭირთ მათი დადგენა. გაიანე სიმონიამ განაცხადა, რომ მომავალ წელს იგეგმება „AGI“-ის დანერგვა.

სხდომაზე გამოცხადდა სთათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:15
დასრულების დრო: 17:25

ავტორიზაციის საბჭომ, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საავტორიზაციო დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე, ავტორიზაციის 2.1 და 2.2 კომპონენტში დაამატა რეკომენდაციები, რამაც გამოიწვია კომპონენტების შეფასების ცვლილება და ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“. შესაბამისად, აღნიშნულმა გამოიწვია სტანდარტის შეფასების ცვლილება და მე-2 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.
საბჭომ 4.1 კომპონენტთან დაკავშირებით მიიჩნია, რომ რელევანტური იყო დასკვნაში ასახული რჩევების გადატანა რეკომენდაციების ნაწილში და ის ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. რამაც გამოიწვია მე-4 სტანდარტის შეფასების ცვლილება და ნაცვლად, „შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტისთვის 6 წლის ვადით ავტორიზაციის მინიჭების, ერთ წელში დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 2200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მ ო მ ხ რ ე : 1 3
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე - 5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204429341) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი)და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 2200-ით. დაწესებულებამ 1 წლის ვადაში წარმოადგინოს ანგარიში.

აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შედის 2024 წლის 21 ნოემბერს.

დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები დარჩევები.

რეკომენდაციები

1. რეკომენდებულია, უზრუნველყოთ, რომ ყველა აკადემიურ პერსონალს ჰქონდეს Turnitin - ის პროფილი სტუდენტების დავალებების შესამოწმებლად.
2. რეკომენდებულია, დაიგეგმოს ღონისძიებები პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამის გამოყენების აუცილებლობის შესახებ აკადემიური პერსონალის ცნობიერების ასამაღლებლად, იმისათის, რომ პლაგიატის განსაზღვრისას არ ეყრდნობოდნენ პირად შეფასებას.
3. რეკომენდებულია, შემუშავდეს და დაინერგოს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მიერ დატვირთვის შესრულების შეფასებისა და შესაბამისი რეაგირების ეფექტური მექანიზმები;
4. სწავლა-სწავლების პროცესების მდგრადობის უზრუნველყოფისა და სამეცნიერო კვლევების გავლენის გაძლიერების მიზნით, რეკომენდებულია აკადემიური/აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა.
5. რეკომენდებულია, მოეწყოს მინიმუმ ერთი დამატებითი სამკითხველო დარბაზი ბიბლიოთეკაში, რომელსაც ექნება ერთდროულად სულ მცირე 70-80 მკითხველის მიღების შესაძლებლობა;
6. რეკომენდებულია, ბიბლიოთეკამ შეიმუშაოს სასწავლო მოდულები (ინფორმაციის მოძიება/საინფორმაციო წიგნიერება) და უზრუნველყოს მათი აქტიურად წახალისება სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.
7. რეკომენდებულია, ჯიპამ აწარმოოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრი, როგორც ეს აღწერილია მოქმედ კანონმდებლობაში.
8. რეკომენდებულია, შემუშავდეს კონკრეტული გეგმები ან მექანიზმები, რომელთა გამოყენებითაც უნივერსიტეტი დაგეგმავს სტუდენტების მზარდი რაოდენობის პირობებში, მეტი ადამიანური რესურსის (ან სხვა ტიპის რესურსების) მოსაზიდვას.
9. რეკომენდებულია ფაკულტეტის დონეზე ჩამოყალიბდეს ხარისხის სპეციალისტების პოზიციები.

10. რეკომენდებულია გაძლიერდეს პროფესიული განვითარების ინიციატივების მხარდაჭერა: გააძლიერეთ მხარდაჭერა პროფესიული განვითარების ფართო სპექტრის აქტივობებისთვის.
11. რეკომენდებულია, პერსონალის დაგეგმვისთის განისაზღვროს გაზომვადი, ობიექტური, კარგად დასაბუთებული და მიღწევადი სამიზნე ნიშნულები, ყველა შესაბამისი პერსპექტივის გათვალისწინებით.

-
რჩევები

1. ექსპერტთა ჯგუფი არ გასცემს განსხვავებულ სამიზნე რეკომენდაციას 2023 წლისთვის სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით, უბრალოდ აფრთხილებს უნივერსიტეტს ისეთი მიზნის სირთულის შესახებ, რომელიც უკავშირდება ახალი პერსონალის აყვანის საჭიროებას, რაც ამავდროულად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიუჯეტზე.
2. სასურველია, სტუდენტების მიერ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების პროცედურების გათვალისწინებით განახლდეს ეთიკის კოდექსი.
3. სასურველია აკადემიური პერსონალის დენადობის მიზეზების შემდგომი კვლევა და შენარჩუნების მექანიზმების გაძლიერება: ჩაატარეთ დამატებითი კვლევა აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებლების შესახებ და დანერგეთ უფრო ეფექტური მექანიზმები შენარჩუნების გასაუმჯობესებლად.
4. სასურველია გააფართოვოთ ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი მექანიზმები: სასურველია, გლობალური ჩართულობის და თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით გაფართოვდეს პერსონალის ინტერნაციონალიზაციის მხარდამჭერი მექანიზმები.
5. სასურველია უნივერსიტეტმა დახვეწოს აკადემიური პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რათა უკეთ უპასუხოს ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსების სპეციფიკურ საჭიროებებსა და მახასიათებლებს.
6. სასურველია, რომ დოქტორანტებისთვის დეტალურად და ნათლად იყოს განმარტებული სამეცნიერო პუბლიკაციების თანაავტორობასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნა და პირობა.
7. სასურველია, კვლევის დეპარტამენტმა მოიწვიოს სტიპენდიანტები პარტნიორი უნივერსიტეტებიდან, რათა მოაწყონ სემინარები ან საინფორმაციო სესიები, თუ როგორ უნდა მოიპოვონ და მართონ სადოქტორო გრანტები ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტებიდან.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა გააძლიეროს სადოქტორო ნაშრომების თანახელმძღვანელების მოწვევის პრაქტიკა, რათა გაამდიდროს როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის აკადემიური გამოცდილება.
9. სასურველია, ჯიპამ დაიწყოს კვლევითი საქმიანობის შეფასება თვისებრივი მიდგომით, ევროკავშირის ქვეყნებში არსებული ახალი ინიციატივების შესაბამისად.
10. სასურველია ჯიპამ აქტიურად შეუწყოს ხელი ერთობლივი სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, სასწავლო პროგრამების, ინსტიტუციური ხილვადობისა და ინტერნაციონალიზაციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.
11. სასურველია, უნივერსიტეტმა შექმნას მხოლოდ ერთი კატალოგი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული რესურსები, რათა მკითხველებმა გამოიყენონ მხოლოდ ერთი საძიებო სისტემა რესურსების ხელმისაწვდომობის დასადგენად;
12. სასურველია, ბიბლიოთეკის თანამშრომლები უფრო აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განვითარების აქტივობებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს დაინტერესებული პირებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მომსახურების მიწოდება.

13. სასურველია, მონაცემთა ბაზებზე დისტანციური წვდომისას მკითხველთა იდენტიფიკაცია განხორციელდეს უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის საშუალებით (არსებული პროცედურების ნაცვლად), რაც სტუდენტებისთვის გააადვილებს წვდომას;
14. სასურველია, ვებგვერდის ინგლისურენოვან ვერსიას დაემატოს წლიური და ფინანსური ანგარიშები, ძირითადი სტატისტიკური მონაცემები და დასაქმების შესაძლებლობები.
15. სასურველია, დამყარდეს უკეთესი კავშირი "გრენა" - ს მიერ მოწოდებულ სერვისებთან, რაც დაეხმარება ჯიპას მთლიანი საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორს.
16. სასურველია, შემუშავდეს უფრო დეტალური ბიუჯეტი.
17. სასურველია, მომავალში კვლევის ხარჯები გაიზარდოს 3% დან 10 % - მდე.

სხდომა დასრულდა დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 2024 წლის 21 ნოემბრის 17:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლეშკაშელი დავითი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა